

მე-6 კლასი

არითმეტიკა

1. რა მოუვიდა მაკლებს, თუ საკლები 6-ით გაადიდეს და სხვაობა შემცირდა 4-ით?
A. გაიზარდა 10-ით B. შემცირდა 2-ით C. გაიზარდა 8-ით
2. თითოეულ ყუთში სამი ბურთი დევს. სულ რამდენი ყუთია, თუ ბურთების რაოდენობა ყუთების რაოდენობაზე 12-ით მეტია?
A. 3 B. 4 C. 6
3. რა ციფრით ბოლოვდება 30-ზე ნაკლები ყველა კენტი ნატურალური რიცხვის ჯამი?
A. 0 B. 5 C. 9

შედარება

4. რომელია მეტი: $2\frac{3}{4}$ სთ, თუ 165 წთ?
A. თანაბარია B. $2\frac{3}{4}$ სთ C. 165 წთ
5. მაღაზიაში 15კგ ბრინჯი 25 ლარად იყიდება, ხოლო 25კგ ფქვილი 60 ლარად. რა უფრო ძვირია, 1კგ ბრინჯი თუ 1კგ ფქვილი?
A. ფქვილი B. ბრინჯი C. თანაბარია
6. ისრებიან საათზე, რამდენჯერ სწრაფია წამების მაჩვენებელი ისარი საათის მაჩვენებელ ისარზე?
A. 12-ჯერ B. 60-ჯერ C. 720-ჯერ

ლოგიკა

7. დაფაზე დაწერილია ნატურალური რიცხვი. ყოველ სვლაზე ნებადართულია რიცხვში ციფრების გადანაცვლება, ან რიცხვის 2-ზე გამრავლება. ამასთან, ოპერაციები სრულდება მორიგეობით. ქვემოთ ჩამოთვლილი რიცხვებიდან რომელს ვერ მივიღებთ მესამე ოპერაციით?
A. 67 B. 75 C. 83
8. ნიკომ უყურა ახალი ფილმის 7 სერიას, სანდრომ __5 სერიას და გიორგიმ __3 სერიას. აღმოჩნდა, რომ არ არსებობს ისეთი სერია, რომელიც ერთ-ერთს მაინც არ უნახავს და ამასთან, არ არსებობს სერია, რომელიც სამივეს აქვს ნანახი. სულ მცირე, რამდენი სერიისგან შედგება ფილმი?
A. 10 B. 9 C. 8

რიცხვთა თეორია

9. დაფაზე წერია ორნიშნა რიცხვი, რომლის არც ერთი ციფრი ნული არ არის. თეამ დაწერა ორნიშნა რიცხვი, რომელსაც ორჯერ დიდი ციფრები აქვს, ლიზიმ კი დაწერა ორნიშნა რიცხვი, რომელსაც 3-ჯერ პატარა ციფრები აქვს. რას უდრის თეასა და ლიზის დაწერილი რიცხვების ჯამი?
A. 77 B. 88 C. 99
10. რამდენი მარტივი გამყოფი არ შეიძლება ჰქონდეს ხუთნიშნა რიცხვს?
A. 5 B. 7 C. 6